სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200669370
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ნავროზაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #23ა, კომერციული ფართი #45 , ბლოკი "გ", II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	598270730
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	53979662706620

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცი წლის ცხრა სექტემბერს მე, ნოტარიუს მარიამ ნავროზაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი "გ", II სართული, მომმართა ბატონმა გიორგი მეპურიშვილმა, მან წარმოადგინა მინდობილობა, შედგენილი 09.09.2020წელს (სამი ეგზემპლარი) და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ გიორგი მეპურიშვილმა (დაბ. 29.05.1975წელს თბილისში, პირადი №01018000161, რეგისტრირებული: თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 4 ბ. 5) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. ამის შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს მინდობილობაზე ხელმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე. ასევე განვუმარტე სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე მინდობილობის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო. რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 8.00 (რვა) ლარი – აქედან: სანოტარო საზღაური 6.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი მარიამ ნავროზაშვილი

ქ. თბილისი

"9" 09 2020წ

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, გიორგი მეპურიშვილი (დაბადებული 29,05,1975) პ/ნ: 01018000161 მცხ:თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქუჩა კორპ.4 ბ,5 **შპს მერანის ს/ნ 200006849 დირექტორი,** რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც „მიმნდობი", - გიორგი არევაძეს (დაბადებული 17.11.1993წ. პ/ნ: 35001117385, მცხ. საქართველო, ქალაქი რუსთავის, ზაქარია ფალიაშვილის ქ. №4, ბინა 45) და/ან შპს ტეტრიქსი-ს ს/კ: 406213663 დირექტროს დავითი ჩიკვაიძეს (დაბადებული 01.12.1993 წ. პ/ნ: 45001033231, მცხ. საქართველო, ქალაქი ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №53,), ერთობლივად ან/და ცალცალკე როგორც საჭირო აღმოჩნდება, რომელიც შემდგომში მოხესებული არიან როგორც „მინდობილი პირი", მიენიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს „მიმნდობის" წარმომადგენელი „მიმნდობის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე: მისამართი:—თბილისი, **ქსნისN12** საკადასტრო კოდი: **01.12.08.003.049** განთავსებულ და განსათავსებელ შენობებზე არქიტექტურული პროექტირების შეთანხმებისათვის, მათში ცვლილებების შეტანასა და მშენებლობის ნებართვის მიღებისათვის საჭირო პროცედურების შესასრულებლად. ამ დავალების შესასრულებლად მოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია სახელმწიფო, ადგილობრივი, კერძო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და დაიცვას „მიმნდობის" ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, (მიიღოს ნებისმიერი ცნობა, მოწმობა), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანიებში, იუსტიციის სახლში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტსა და საკრებულოში, არქიტექტურის სამსახურში, და სხვა შესაბამის დაწესებულება ორგანიზაციებში. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად „მინდობილი პირი" უფლებამოსილია მოაწესროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით. გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა მომსახურების ხარჯი, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ცნობები, მოწმობები და სხვა დოკუმენტაცია.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

გიორგი მეპურიშვილი

საქართველო, თბილისი, 0181, გ. აბაშვილის ქ. №3, ტელ (995) 551 37 00 44 ელ-ფოსტა: tetrix.ge@gmail.com ვებ-გვერდი: www.tetrix.ge
Georgia, Tbilisi, 0181, G. Abashvili str №3 Tel.: (995) 551 37 00 44, E-mail: tetrix.ge@gmail.com Web Page: www.tetrix.ge